



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის
კითხვარების შევსების ინსტრუქცია

დამტკიცებულია სსიპ „საქსტატი“ საბჭოს 2019 წლის 19 თებერვლის № 4 დადგენილებით

თბილისი 2019

სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის კითხვარების შევსების ინსტრუქცია

მეურნეობის იდენტიფიკაცია

საწყისი გამოკითხვისას მეტად მნიშვნელოვანია შერჩევაში მოხვედრილი მეურნეობის იდენტიფიკაცია, ანუ იმის დადგენა, არსებობს თუ არა ის სასოფლო მეურნეობა, რომელიც შერჩევაშია მოხვედრილი.

თუ მეურნე საანგარიშო პერიოდში არ ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას რაიმე ხელისშემშლელი პირობის გამო (ვერ დაამუშავა მიწა და ა.შ.), ან იმის გამო, რომ დროებით შეწყვიტა მიწის იჯარა და უახლოეს მომავალში აპირებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განახლებას, იგულისხმება რომ მეურნეობა არსებობს.

კითხვარის შევსება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაირკვევა, რომ მეურნეობა არსებობს და ჩატარდება გამოკითხვა.

არასრული ინტერვიუ

ზოგიერთ შემთხვევაში მეურნეობაში ინტერვიუ შესაძლებელია ვერ ჩატარდეს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

1. მეურნეობა არსებობს, მაგრამ რესპონდენტი ვერ მოიძებნა;
2. მეურნეობა არსებობს, მაგრამ რესპონდენტმა უარი განაცხადა ინფორმაციის გაცემაზე;
3. სიაში მოცემული მეურნეობა საერთოდ არ ფიქსირდება მითითებულ ტერიტორიულ ერთეულზე;
4. მეურნეობა არ (აღარ) არსებობს;
5. გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელი იყო მეურნეობაში ინტერვიუერის მისვლა (უამინდობის ან სხვა რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გამო).

თუ რომელიმე გამოკითხვაში დაფიქსირდება ზემოთ მოყვანილი მიზეზებიდან მესამე ან მეოთხე შემთხვევა, აღნიშნული მეურნეობა ამოღებული უნდა იქნას სიიდან (ინტერვიუერისათვის გადაცემული მეურნეობების სია) და შესაბამისად, შემდეგ გამოკითხვებში აღარ უნდა მოხდეს მათი გამოკვლევა.

არასრული ინტერვიუს შემთხვევაში უნდა შეივსოს ყველა სავალდებულო ველი.

მეურნეობის კოდი - ჩაიწერება მეურნეობის კოდი;

იდენტიფიკაციის შედეგი - თუ მეურნეობა არსებობდა, თანაქალაქელები/თანასოფლელები იცნობდნენ მათ ან უშუალოდ მათ მემკვიდრეებს და ინტერვიუერის მისვლის მომენტისათვის ადგილზე არავინ იმყოფება, აუცილებელია დადგინდეს მეურნეობა არსებობს და იმ მომენტისათვის არ იძებნება, თუ აღარ არსებობს.

„1“ – **არსებობს** – აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ სიაში მითითებული მეურნეობა არსებობს, ანუ გააჩნია მეურნეობის არსებობისათვის აუცილებელი ატრიბუტები (იხ. თავი - გამოკვლევის მიზანი და ობიექტი);

„2“ – **გაურკვეველია** – აღინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც ინტერვიუერი დაადგენს, რომ მეურნეს, რომელიც შერჩეული მეურნეობების სიაშია მითითებული, არასოდეს უცხოვრია მოცემულ ტერიტორიულ ერთეულზე, არავის სმენია მის შესახებ ან მითითებული მისამართი საერთოდ არ არსებობს.

„3“ – **არ არსებობს** – აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ შინამეურნეობას არ გააჩნია მეურნეობის არსებობისათვის აუცილებელი ატრიბუტები (იხ. თავი - გამოკვლევის მიზანი და ობიექტი).

ცვლილება მეურნეობაში - იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერი დაადგენს, რომ მეურნეობა არსებობს, აუცილებელია დაადგინოს ასევე, ხომ არ შეიცვალა მეურნეობაში მეურნე ან მეურნის მისამართი და ჩაწეროს სქოლიოში მითითებული შესაბამისი კოდი.

არარსებობის მიზეზი:

„1“ – **მეურნე აღარ ეწევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას** – აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ სიაში მითითებული მეურნე არსებობს, მაგრამ მეურნეობაში აღარ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოება – აღარ ჰყავს პირუტყვი სარგებლობაში, მიწა იჯარითაა გაცემული, ან არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ან მეურნეობის მიწა მთლიანად იჯარით იყო აღებული და აღარ სარგებლობს ამ იჯარით და ა.შ.;

„2“ – **მეურნე აღარ არსებობს** – აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მეურნე ფიზიკურად აღარ არსებობს – მთელი ოჯახი წავიდა ემიგრაციაში, მეურნე გარდაიცვალა და მეურნეობა მიტოვებული დარჩა და ა.შ.;

„3“ – **მთლიანად შთანთქა სხვა მეურნეობამ** – აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობის სარგებლობაში არსებული აქტივები მთლიანად გადავიდა სხვა მეურნის (მეურნეების) სარგებლობაში (აქტივების გაყიდვის ან გაქირავების გზით);

„4“ – **გაერთიანდა სხვა მეურნეობასთან** – აღინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე მეურნეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეწყვიტოს ფუნქციონირება და შექმნეს

სრულიად ახალი მეურნეობა – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) ან სხვა, რომელშიც ამ ოჯახებს თავისი წილი აქვთ;

„5“ – დაიშალა რამდენიმე მეურნეობად – აღინიშნება, როდესაც მეურნეობა გადანაწილდა რამდენიმე მეურნეს შორის (შინამეურნეობა გაიყო) და მის მაგივრად წარმოიქმნა რამდენიმე ახალი მეურნეობა.

გამოკითხვის შედეგი:

„1“ – რესპონდენტი ვერ მოიძებნა – აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობა არსებობს, მაგრამ ვერ მოხერხდა რესპონდენტის მოძიება.

„2“ – ინფორმაციის მოცემაზე უარი განაცხადა – აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობა არსებობს, მაგრამ რესპონდენტმა უარი განაცხადა ინტერვიუზე.

რეაგირების გარეშე - იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელი იყო მეურნეობაში ინტერვიუერის მისვლა (უამინდობის ან სხვა განსაკუთრებული მიზეზის გამო), ინტერვიუერმა აღნიშნული მეურნეობის კოდის გასწვრივ სტრიქონში უნდა მონიშნოს „რეაგირების გარეშე“.

შენიშვნების ველში ჩაიწერება მეურნეობასთან და მეურნესთან დაკავშირებული ყველა კომენტარი, განსაკუთრებით დეტალურად უნდა აიხსნას ინტერვიუერის მეურნეობებში ვერ მისვლის მიზეზები (რეაგირების გარეშე დარჩენილი მეურნეობების შესახებ).

საწყისი კითხვარის შევსება

საწყის კითხვარში აღირიცხება პირველ იანვარს მეურნეობაში არსებული მდგომარეობა.

კითხვარის თავფურცელი და ცვლილება მეურნეობაში

კითხვარის თავფურცელზე მიეთითება გამოკითხული პირი და მისი დამოკიდებულება მეურნეობასთან, ანუ იმ რესპონდენტის სახელი და გვარი, ვისთანაც პირისპირ ჩატარდა ინტერვიუ. ეს პიროვნება შეიძლება იყოს მეურნე (მენეჯერი), მეურნის ოჯახის წევრი ან მეურნეობაში მომუშავე ინფორმირებული პირი ვინც ინფორმაციას ფლობს მეურნეობის შესახებ. ასევე კითხვარის თავფურცელზე მიეთითება ინტერვიუერის და კოორდინატორის სახელი და გვარი შესაბამისი კოდებით (ინტერვიუერებს და კოორდინატორებს კოდები ენიჭებათ სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ). აქვე მიეთითება მეურნეობის კოდიც, რომელიც წარმოადგენს მეურნეობის საიდენტიფიკაციო კოდს.

კითხვარის შევსება იწყება იმის გარკვევით განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილება მეურნესთან (მეურნეობის ხელმძღვანელთან) ან მეურნეობის მისამართთან მიმართებაში.

შეიცვალა მეურნე - მოინიშნება პასუხი „დიახ“, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგი ორი შემთხვევიდან ერთ-ერთს:

1) მეურნეობის ხელმძღვანელი რაიმე მიზეზით გახდა სხვა პირი (შინამეურნეობის შემთხვევაში) ან სხვა საწარმო (იურიდიული პირის შემთხვევაში);

2) მეურნეობამ შეიცვალა იურიდიული სტატუსი (მაგალითად, შინამეურნეობა გახდა იურიდიული პირი ან იურიდიულმა პირმა შეიცვალა სამართლებრივი ფორმა) ან იურიდიულმა პირმა საიდენტიფიკაციო კოდი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მოინიშნება პასუხი „არა“.

მეურნის ცვლილების შემთხვევაში შენიშვნაში მიეთითება ახალი მეურნის რეკვიზიტები.

შეიცვალა მეურნის მისამართი - მოინიშნება პასუხი „დიახ“, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეიცვალა მეურნის ფაქტობრივი მისამართი (შინამეურნეობის შემთხვევაში) ან ოფისის მისამართი (საწარმოს შემთხვევაში). წინააღმდეგ შემთხვევაში მოინიშნება პასუხი „არა“.

შენიშვნაში ჩაიწერება ყველა ის კომენტარი, რომელიც ეხება მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას ან საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებს, ასევე გამოკითხვასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს.

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია მეურნეობის შესახებ.

1.1 ვინ არის მეურნე. ჩაიწერება სასოფლო მეურნეობის იურიდიული სტატუსი ინსტრუქციის დანართში მითითებული კოდების მიხედვით.

1.2 სახელი და გვარი. ჩაიწერება მეურნეობის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, ხოლო საწარმოს შემთხვევაში – საწარმოს დასახელება.

1.3 მისამართი. ჩაიწერება მეურნის საცხოვრებელი მისამართი. თუ მისამართი სოფლადაა, ჩაიწერება მუნიციპალიტეტი, აგრეთვე თემის და სოფლის დასახელება, ხოლო თუ მისამართი ქალაქადაა – ქალაქდასახელება, ქუჩა და სახლის ნომერი. სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის უნდა მიეთითოს საწარმოს ფაქტიური (ოფისის) მისამართი.

1.4 ტელეფონი. ჩაიწერება მეურნის ბინის ან ოფისის ტელეფონის ნომერი, ადმინისტრაციული ერთეულის კოდის მითითების გარეშე.

1.5 მობილური ტელეფონი. ჩაიწერება მეურნის (იურიდიული პირის შემთხვევაში საკონტაქტო პირის) მობილური ტელეფონის 9-ნიშნა ნომერი.

1.6 სქესი. ჩაიწერება შინამეურნეობის ან საწარმოს ხელმძღვანელის სქესი.

1.7 ასაკი. ჩაიწერება შინამეურნეობის ან საწარმოს ხელმძღვანელის ასაკი.

1.8 ნაკვეთების რაოდენობა. ჩაიწერება სასოფლო მეურნეობის **სარგებლობაში არსებული** მიწის ნაკვეთების რაოდენობა. **სარგებლობაში არსებული** მოიცავს მეურნეობის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებს, რომელიც არ აქვს იჯარით გაცემული და მეურნეობის მიერ იჯარით აღებულ ნაკვეთებს (იჯარით აღებულად ჩაითვლება ნულოვანი იჯარით აღებული ნაკვეთებიც – უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში არსებული). ნაკვეთი განისაზღვრება, როგორც სასოფლო მეურნეობის მიწის იზოლირებული ნაწილი, რომელიც მიწათმფლობელობის ერთი ფორმის ქვეშ იმყოფება. მაგალითად: თუ 2 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთის ნახევარი მეურნის

საკუთრებაშია, ხოლო მეორე ნახევარი იჯარითაა აღებული კერძო პირისაგან, ჩაითვლება, რომ აქ არის ორი ნაკვეთი თითოეული 1 ჰა ფართობით.

1.9 მეურნეობის მიწის ფართობი.

ა) **საკუთარი.** მოიცავს მეურნეობის საკუთრებაში არსებულ იმ მიწის ფართობს, რომელიც იჯარით არაა გაცემული.

ბ) **იჯარით აღებული.** ბ=გ+დ.

მათ შორის:

გ) **სახელმწიფოსაგან.** მოიცავს სახელმწიფოსგან იჯარით აღებულ მიწის ფართობს.

დ) **კერძო პირისაგან.** მოიცავს კერძო პირისგან იჯარით აღებულ მიწის ფართობს.

ე) **მთლიანი ფართობი.** ე=ა+ბ. (მეურნის სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი – მეურნეობის საკუთრებაში არსებული და მეურნეობის მიერ იჯარით აღებული მიწის ფართობი, გარდა იმ ნაწილისა რომელიც სხვა პირზეა იჯარით გაცემული).

ნაწილი 2. მიწა ნაკვეთების მიხედვით. ივსება იმდენი ფურცელი, რამდენი ნაკვეთიც აქვს სარგებლობაში მეურნეობას (თითო ფურცელი თითოეული ნაკვეთისათვის). ყველა ნაკვეთის შევსების შემდეგ ინტერვიუერი ვალდებულია შეამოწმოს, ნაკვეთების ფართობების ჯამი ემთხვევა თუ არა 1.9ე-ში მითითებულ მიწის ფართობს, საკუთრებაში არსებული ნაკვეთების ფართობების ჯამი - 1.9ა -ში მითითებულ ფართობს, სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული ნაკვეთების ფართობების ჯამი - 1.9გ -ში მითითებულ ფართობს, ხოლო კერძო პირისგან იჯარით აღებული ნაკვეთების ფართობების ჯამი - 1.9დ -ში მითითებულ ფართობს.

2.1. ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემები.

ნაკვეთის ნომერი. ნაკვეთების იდენტიფიცირებისათვის თითოეულ ნაკვეთს გააჩნია თავისი პირობითი რიგითი ნომერი, რომელსაც ანიჭებს მეურნე და მუდმივია გამოკვლევის განმავლობაში.

ნაკვეთის სახელი. ჩაიწერება მეურნის მიერ ნებისმიერი შერჩეული სახელი, რომელიც გამოიყენება ნაკვეთის მოსახსენიებლად მისი იდენტიფიცირებისათვის.

მფლობელობის ფორმა. მფლობელობის ფორმაში იგულისხმება საკუთარია ნაკვეთი თუ იჯარითაა აღებული (ნაკვეთი რომელიც არაა მეურნეობის საკუთრებაში, მაგრამ მის სარგებლობაშია ითვლება იჯარით აღებულად). შესაბამის უჯრაში მიეთითება შესაბამისი კოდი (სქოლიოში მითითებული კოდების მიხედვით).

ნაკვეთის სრული ფართობი. ჩაიწერება ნაკვეთის სრული ფართობი.

სარწყავი საშუალების არსებობა. იგულისხმება სარწყავი სისტემა (ნაკვეთამდე წყლის მისაყვანი არხი, მილი ან ტუმბო) იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა გამოყენებული სარწყავად.

დაშორება სახლიდან. მანძილი სახლიდან (ოფისიდან) არჩეულ ნაკვეთამდე. მანძილი მიეთითება კილომეტრებში. თუ ის მცირეა (ნაკლებია 500 მეტრზე) მიეთითება 0 (იმ ნაკვეთზე, სადაც საკარმიდამო აუცილებლად ჩაიწერება 0).

ნაკვეთის ადგილმდებარეობა. ჩაიწერება მუნიციპალიტეტი, თემი/ქალაქი/დაბა და სოფელი, სადაც ნაკვეთი მდებარეობს. ასევე მიეთითება ქუჩის დასახელება და ნომერი (თუ არსებობს).

2.2. მიწათსარგებლობა. ნაკვეთი შესაძლებელია დაიყოს რამდენიმე ნაწილად მისი გამოყენების მიხედვით. ნაკვეთს ან ნაკვეთის შემადგენელ ნაწილს გამოყენების შესაბამისად უნდა მიეთითოს მიწათსარგებლობის ტიპი (სახნავი, მრავალწლოვანი ნარგავები და სხვ.)

სახნავი. ღია გრუნტის მიწა, რომელიც განკუთვნილია ერთწლიანი კულტურების (მრავალწლოვანი ბალახების ჩათვლით) მოსაყვანად, აგრეთვე ჩითილების ან მრავალწლოვანი კულტურების ნერგების გამოსაყვანად. სახნავი მიწა შეიძლება იყოს დროებით (5 წლამდე), ან დიდი ხნით (5 წელზე მეტი) დაუმუშავებელი.

მრავალწლოვანი ნარგავები. მიწა, რომელიც დაკავებულია მრავალწლოვანი კულტურების კომპაქტური ნარგავებით (ხეხილის ბაღები, ვენახები, კენკროვნები, ჩაის ან ციტრუსის პლანტაციები). მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული მიწა, რიგთაშორის ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად შეიძლება გამოიყენებოდეს.

მეურნის საკარმიდამოს ნაწილი შეიძლება დაკავებული იყოს მრავალწლოვანი ნარგავებით. მეურნემ უნდა გადაწყვიტოს, ეს ნაწილი ჩაითვალოს ბაღად (ან ვენახად, პლანტაციად), თუ ეზოდ. პირველ შემთხვევაში მიწა მიეკუთვნება კატეგორიას “მრავალწლოვანი ნარგავები”, ხოლო მეორე შემთხვევაში – კატეგორიას “ეზოები, შენობები, სათბურები” და იქ მდგომი ნარგავები ჩაითვლება ცალკე მდგომ ძირებად.

ბუნებრივი სათიბები. მიწა, რომელზეც ბუნებრივად მოსული ბალახი გამოიყენება თივის დასამზადებლად. თუ ბალახი დათესილია მეურნის მიერ, ასეთი მიწა მიეკუთვნება სახნავის კატეგორიას და ითვლება დათესილი ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახებით დაკავებულ მიწად.

ბუნებრივი საძოვრები. მიწა, რომელზეც ბუნებრივად მოსული ბალახი გამოიყენება პირუტყვის საძოვებლად.

ეზოები, შენობები, სათბურები. ტრადიციული საკარმიდამოები, ან ეზოები, რომელიც დაკავებულია ისეთი შენობა-ნაგებობებით (პირუტყვისა და ფრინველის სადგომი, ნალია და ა.შ.), რომლებიც გამოიყენება პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქების, პესტიციდების და ა.შ., აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახად ან გადასამუშავებლად. აქვე შედის მეურნის სახლით და კარმიდამოთი დაკავებული ტერიტორია, თუ იგი მეურნეობის მიწის ნაწილს წარმოადგენს. ამ უკანასკნელ გარემოებას მაშინ აქვს ადგილი, თუ სახლი და კარმიდამო მდებარეობს ისეთ ნაკვეთზე, რომელზეც გარკვეული სასოფლო-სამეურნეო წარმოება ან მისი ხელშემწყობი საქმიანობა მიმდინარეობს. თუ მეურნის სახლი მდებარეობს მრავალსართულიან შენობაში ან გარშემორტყმულია მხოლოდ, ასფალტით დაფარული ეზოთი, ასეთი სახლი და კარმიდამო მეურნეობის მიწის ნაწილს არ წარმოადგენს. აქვე შედის სათბურებით დაკავებული ტერიტორია. **სათბური** წამოადგენს მიწის ფართობს, რომელიც მდებარეობს მინით ან პლასტიკური მასალებით გადახურული **მუდმივი** კონსტრუქციის ქვეშ.

ტყეები. ბუნებრივი ან ხელოვნურად გაშენებული ხის ნარგავების მასივები, რომლებსაც აქვს რეალური ან პოტენციური ღირებულება მერქნის, შემის წარმოების მხრივ, ან აქვს ქარსაცავი მნიშვნელობა.

აკვაკულტურისათვის განკუთვნილი მიწა. ხელოვნური ან ბუნებრივი წყალსატევები (აუზები, ტბორები, ტბები და ა.შ.), რომლებიც წარმოადგენენ მეურნეობის მიწის ნაწილს და გამოიყენება წყლის ორგანიზმების მოსაშენებლად.

დანარჩენი მიწა. ეკალბარდებით და ველური მცენარეებით დაკავებული ფართობები, დაჭაობებული, კლდოვანი და ქვალორდიანი ფართობები. აქვე შედის ყოფილი სახნავის ის ნაწილი, რომელიც დაიმეწყრა, გადაირეცხა მდინარეების მიერ და დიდი ხანია აღარ გამოიყენება სახნავად; აგრეთვე წყალსატევები, რომლებიც არ გამოიყენება აკვაკულტურისათვის.

სულ. ჩაიწერება ყველა შევსებული სტრიქონის ჯამი.

2.3. ღია გრუნტი. ამ ცხრილში აღირიცხება ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა კულტურებით იყო დაკავებული მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი პირველი იანვრისათვის.

ა) სახნავი (მრავალწლოვანი კულტურების სანერგეების ჩათვლით). ჩაიწერება ყველა იმ კულტურის დასახელება და კოდი (იხ. ინსტრუქციის დანართი), რომელიც 1 იანვრისათვის იყო დათესილი ან დარგული. ასეთი შეიძლება იყოს: ყველა საშემოდგომო მარცვლოვანი

კულტურა, ნიორი, ხახვი, მწვანილი, ბარდა, ცერცვი, მრავალწლიანი ბალახები, მრავალწლოვანი კულტურების ნერგები და ა.შ. პირველ რიგში აღირიცხება **წმინდა ნათესი** კულტურები (გარკვეულ ფართობზე მხოლოდ ერთი კულტურაა დათესილი) და მათი ფართობები. წმინდა ნათესი კულტურების გასწვრივ მესამე სვეტში (ნათესის ტიპი) ჩაიწერება “0” – რომელიც მიუთითებს, რომ ამ კულტურის ნათესი ფართობი წმინდაა. წმინდა ნათესების შემდეგ ივსება ინფორმაცია კულტურების კომბინაციების შესახებ, როდესაც გარკვეულ ფართობზე რამდენიმე ერთწლიანი კულტურაა დათესილი. ამ შემთხვევაში ინტერვიუერი უნდა დაეხმაროს რესპონდენტს აღნიშნულ ნათეს ფართობში გაიმიჯნოს თითოეული კულტურის ნათესი ფართობი, ხოლო თუ ეს ვერ ხერხდება, მთლიანი ნათესი ფართობი მიეკუთვნება ძირითად კულტურას (შერეული ნათესი - ძირითადი კულტურა), ხოლო დანარჩენ კულტურებს (შერეული ნათესი - შეთესილი კულტურა) ფართობი არ მიეთითება. ასევე, თუ კულტურათა კომბინაციაში კულტურები რიგებადაა დათესილი ისე, რომ შესაძლებელია საერთო ფართობის მათ შორის გადანაწილება, ეს ფართობი ნაწილდება კულტურათა შორის. შერეული ნათესის შემთხვევაში, როდესაც ერთი კულტურა ძირითადია, ხოლო დანარჩენ(ებ)ი უსისტემოდაა შეთესილი (ე.წ. შეთესილი კულტურები), 1-ლ სვეტში ერთმანეთის მიყოლებით ჩაიწერება თითოეული კულტურის დასახელება, მე-2 სვეტში – შესაბამისი კოდი, მე-3 სვეტში – ნათესის ტიპი (1 - შერეული ნათესი-ძირითადი კულტურა, 2 - შერეული ნათესი - შეთესილი კულტურა) ხოლო ნათესის მთელი ფართობი ენიჭება მხოლოდ ძირითად კულტურას.

ბ) მრავალწლოვანი ნარგავები (რიგთაშორის დათესილი ერთწლიანი კულტურების ჩათვლით). აღირიცხება ინფორმაცია მრავალწლოვანი კულტურების კომპაქტური ნარგავების შესახებ მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ესენია: ხეხილის ბაღები, ვენახები, პლანტაციები და ა.შ. მრავალწლოვანი კულტურების კომპაქტური ნარგავები შეიძლება იყოს წმინდა (0) ან შერეული (1). წმინდა ნარგავების შემთხვევაში ფართობები აღირიცხება თითოეული კულტურისათვის ცალ-ცალკე, ხოლო შერეული ნარგავებისათვის - ჯამური ფართობი (ჩაიწერება შერეულ ნარგავებში წარმოდგენილი ერთერთი კულტურის გასწვრივ). მრავალწლოვან ნარგავებში რიგებს შორის დათესილი ერთწლიანი კულტურები ჩაიწერება ფართობის გარეშე, შესაბამისი ნათესის ტიპის (რიგთაშორისი ნათესი) მითითებით. გარდა ამისა ცხრილში მე-5 (ძირების რაოდენობა) და მე-6 (მათ შორის მსხმოიარე ასაკში) სვეტებში აუცილებელია მიეთითოს ნაკვეთზე არსებული თითოეული მრავალწლოვანი კულტურის ძირების რაოდენობა.

სტრუქტურაში “სულ” ივსება მხოლოდ მეოთხე სვეტი და ჩაიწერება მრავალწლოვანი ნარგავების მთლიანი ფართობი, რომელიც უნდა შეადგენდეს აღნიშნულ სვეტში მითითებული ფართობების ჯამს.

2.4. ცალკე მდგომი ძირები. აღირიცხება საკარმიდამო მიწის ნაწილზე, ვენახში ან ნებისმიერ ნაკვეთზე (სახნავში, სათიბში, საძოვარზე), ეზოს გარეთ არსებული ხეები, ვაზი, რომლებიც არ წარმოადგენენ კომპაქტურ ნარგავებს. პირველ სვეტში ჩაიწერება კულტურების დასახელება, მე-2 სვეტში – შესაბამისი კოდები (იხ. დანართი), მე-3 სვეტში – ძირების მთლიანი რაოდენობა, მე-4 სვეტში კი მსხმოიარე ასაკში მყოფი ძირების რაოდენობა („მსხმოიარე ასაკში“ იგულისხმება ძირები რომელთაც ერთხელ მაინც მოუციათ ნაყოფი).

2.5 სათბურები. სათბურის არსებობის შემთხვევაში 2.2 ცხრილის მეხუთე სტრუქტურაში (ეზოები, შენობები, სათბურები) გარკვეული ფართობი უნდა იყოს მითითებული.

სათბურ(ებ)ის ფიზიკური ფართობი. იგულისხმება სათბურის ფართობი (კვადრატულ მეტრებში), რომელიც სათბურს, როგორც ნაგებობას ფიზიკურად უკავია.

ამ ცხრილში აღირიცხება ის კულტურები (როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლოვანი), რომლითაც სათბურის მიწა დაკავებული იყო საანგარიშო წლის 1 იანვარს (კულტურების კოდები იხ. დანართში).

ნაწილი 2ა. მემცენარეობის პროდუქცია.

2.6. მეურნეობაში ნაწარმოები მემცენარეობის პროდუქციის მარაგები. აღირიცხება მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც მეურნეობაში მარაგის სახით დარჩა მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით (შემენილი ან ნაჩუქარი პროდუქტი მხედველობაში არ მიიღება).

ა) სასოფლო სამეურნეო კულტურები. აღირიცხება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მარაგები (კილოგრამებში).

ბ) მეორადი პროდუქცია პირუტყვის საკვებად. აღირიცხება მეორადი პროდუქციის მარაგები, რომელიც გამოიყენება პირუტყვის საკვებად: ჩალა, ნამჯა, კოპტონი, ქატო, ანაცერი, ღერღილი, შესაბამისი კოდების მითითებით (კილოგრამებში).

გ) გადამუშავებული პროდუქტები. აღირიცხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისაგან წარმოებული მეორადი პროდუქტების მარაგები: პურის და სიმინდის ფქვილი, ღვინო, არაყი, ჩირი, ჩაი (პირველ სვეტში მითითებულ შესაბამის განზომილებაში).

2.7. მეურნის მიერ მეურნეობაში ან მის გარეთ ნაწარმოები თივის მარაგი. აღირიცხება თივის მარაგი (კილოგრამებში).

ნაწილი 4. მეცხოველეობა.

4.1. პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. აღირიცხება მეურნეობის სარგებლობაში არსებული (მოიცავს მეურნეობის საკუთრებაში არსებულს რომელიც იჯარით არაა გაცემული და იჯარით აღებულს) პირუტყვისა და ფრინველის სულადობა მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ამ ცხრილის შევსებისას აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა: მე-2, მე-5, მე-8, მე-10, მე-12 და მე-18 სტრიქონებში მითითებული რაოდენობები არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისად 1-ლი, მე-4, მე-7, მე-9, მე-11 და მე-17 სტრიქონებში მითითებულ რაოდენობებს. გარდა ამისა, მე-3 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-2 სტრიქონში მითითებულ რაოდენობას, ხოლო მე-6 სტრიქონში მითითებული რაოდენობა – მე-5 სტრიქონში მითითებულ რაოდენობას. ასევე, თუ შევსებულია მეორე ან მესამე სტრიქონი აუცილებლად შევსებული უნდა იყოს პირველი სტრიქონიც, თუ შევსებულია მე-8 აუცილებლად შევსებული უნდა იყოს მე-7 სტრიქონიც და ა.შ.

4.2. მეცხოველეობის პროდუქციის მარაგები. აღირიცხება მეურნეობის მიერ გასულ წელს წარმოებული პროდუქციის (როგორც პირველადი ასევე გადამუშავებული) ის ნაწილი, რომელიც მეურნეობაში მარაგის სახით დარჩა მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით (შემენილი ან ნაჩუქარი პროდუქტი მხედველობაში არ მიიღება).

ინფორმაცია გამოკითხვის მიმდინარეობის შესახებ. ივსება გამოკითხვის დასრულების შემდეგ. **თანამშრომლობის ხარისხი.** გამოკითხული პირის თანამშრომლობის ხარისხის შეფასება X-ით აღინიშნება შესაბამის უჯრაში.

გამოკითხვის ხანგრძლივობა. ჩაიწერება უშუალოდ ინტერვიუს ჩატარებაზე დახარჯული დრო.

კვარტალური გამოკითხვის კითხვარი

კითხვარის თავფურცელი და ინფორმაცია მეურნეობაში ცვლილების შესახებ ივსება ისევე როგორც საწყისი გამოკითხვის კითხვარის შემთხვევაში (იხ. საწყისი გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია). ასევე იდენტურია „ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია მეურნეობის შესახებ“ – ის შევსების წესი, სადაც აღირიცხება საანგარიშო კვარტალის ბოლოს არსებული მდგომარეობა.

ნაწილი 2. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები და წარმოება. ამ ნაწილში აღირიცხება მონაცემები ღია გრუნტზე ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების, ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურების მოსავლისა და სათბურებში მოყვანილი კულტურების მოსავლის შესახებ.

2.1. ღია გრუნტზე ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში დათესილი კულტურები, გარდა იმ კულტურებისა რომლებიც არ წარმოადგენდნენ ძირითად კულტურებს და ამასთან ვერ მოხერხდა მათი ნათესი ფართობების განსაზღვრა. (იხ. საწყისი კითხვარის „2.3. ა) სახნავი“ –ის შევსების წესი).

თითოეულ სტრიქონზე, კულტურის გასწვრივ, პირველ სვეტში მიეთითება იმ ნაკვეთის ნომერი, რომელზეც დათესილია კულტურა, მეორე სვეტში – კულტურის დასახელება, მესამეში – კულტურის კოდი (იხ. დანართი), ხოლო მეოთხეში – ნათესი ფართობი (ჰექტრებში). „ნათესი ფართობის“ სვეტში მითითებული ფართობების ჯამი უნდა შეადგენდეს მეურნეობის მიერ საანგარიშო კვარტალის განმავლობაში დათესილ მთლიან ფართობს.

2.2. ღია გრუნტზე ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურების მოსავალი. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მიღებული ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურების მოსავალი და ერთწლიანი კულტურების აღებული ფართობები შესაბამისი კოდების მითითებით (იხ. დანართი). ფართობი ითვლება აღებულად, თუ ამ ფართობიდან მოცემული კულტურის მოსავლის აღება დასრულებულია. ამდენად იმ კულტურებისათვის, რომელთა მოსავლის აღება მთელი ფართობიდან თვეობით გრძელდება (მწვანელი, პომიდორი, კიტრი, მწვანე ლობიო და ა.შ.), მთელი აღებული ფართობი აღირიცხება მხოლოდ იმ კვარტალში, რომელშიც ამ კულტურის მოსავლის აღება აღნიშნული ფართობიდან დასრულდა. მოსავალი კი აღირიცხება ყველა იმ კვარტალში, რომელშიც მიმდინარეობდა მოსავლის აღება (შესაძლოა აღებული ფართობის მითითების გარეშე). ყოველი კულტურისათვის მითითებული

უნდა იყოს ნაკვეთის ნომერი, ასევე ერთწლიანი კულტურების შემთხვევაში ნათესის ტიპი, საიდანაც მოხდა მოსავლის აღება. აღებული მოსავალი ჩაიწერება კილოგრამებში, ნერგები, ჩითილები, ყვავილები და ჭყინტი სიმინდი კი ცალეებში.

ამ განყოფილებაში ბუნებრივ სათიბებზე მოთიბული ბალახები არ აღირიცხება.

2.3. სათბურებში მოყვანილი კულტურების მოსავალი. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში სათბურებიდან მიღებული მოსავალი. ცხრილი ივსება ისევე როგორც 2.2. ცხრილის შესაბამისი სვეტები.

2.4. მეურნეობაში წარმოებული მემცენარეობის პროდუქციის გაყიდვა. აღირიცხება მხოლოდ მეურნეობაში წარმოებული მემცენარეობის პროდუქცია (ნაყიდი ან ნაჩუქარი პროდუქტები მხედველობაში არ მიიღება).

ა) სასოფლო-სამეურნეო კულტურები. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მეურნეობის მიერ გაყიდული სასოფლო-სამეურნეო კულტურები (შესაბამისი კოდების მითითებით), რომლის მარაგიც მეურნეობას ჰქონდა საანგარიშო კვარტალის დასაწყისში ან/და იწარმოა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში.

გაყიდვა. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მეურნეობის მიერ გაყიდული პროდუქციის რაოდენობა.

გაყიდულ პროდუქციაში აღებული თანხა. აღირიცხება გასული კვარტალის განმავლობაში პროდუქციის გაყიდვიდან (მესამე სვეტში ნაჩვენები) მიღებული თანხა ლარებში.

ბ) მეორადი პროდუქცია პირუტყვის საკვებად. აღირიცხება მეურნეობაში წარმოებული ხორბალის, ქერის, სიმინდის, მზესუმზირას მოსავლის აღებისა და გადამუშავების შემდეგ დარჩენილი მასის გაყიდვა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ივსება „ა“ ნაწილის მსგავსად.

გ) გადამუშავებული პროდუქტები. აღირიცხება მეურნეობაში გადამუშავებული მხოლოდ იმ პროდუქტების გაყიდვა, რომლებიც მეურნეობაში წარმოებული პირველადი პროდუქციისაგანაა დამზადებული. ივსება „ა“ ნაწილის მსგავსად.

ნაწილი 3. სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება გასული კვარტალის განმავლობაში.

3.1. მეურნეობაში გამოყენებული სასუქები (ნაკელის გარდა). აღირიცხება ინფორმაცია საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მეურნეობაში გამოყენებული სასუქების შესახებ. პირველ სვეტში ჩაიწერება სასუქის დასახელება/ტიპი, მეორეში – სასუქის კოდი (იხ. დანართი). თუ დანართში შესაბამისი დასახელება/ტიპი არ იძებნება, იწერება კოდი 999 (სხვა) და

დასახელება სიტყვიერად. მესამე სვეტში თითოეული სასუქისათვის უნდა ჩაიწეროს გამოყენებული რაოდენობა კილოგრამებში, როგორც შექმნილი, ასევე ნაჩუქარი, მეოთხეში კი მხოლოდ ნაჩუქარი. მეხუთე სვეტი უნდა შეივსოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობის მიერ საანგარიშო კვარტალის განმავლობაში გამოყენებული სასუქი მთლიანად ან ნაწილობრივ შექმნილია მეურნის მიერ ანუ მთლიანად ნაჩუქარს არ შეადგენს (ანუ მესამე და მეოთხე სვეტების მნიშვნელობები ერთმანეთს არ ემთხვევა) და ჩაიწერება 1 კგ – ის ფასი (რა ფასადაც შეიძინა მეურნემ 1 კგ სასუქი). მეექვსე და მეშვიდე სვეტებში შესაბამისად იწერება ამ სასუქით განოყიერებული ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურების ფართობები. იმ შემთხვევაში თუ ერთწლიანი ან მრავალწლოვანი კულტურები არ განოყიერებულა აღნიშნული სასუქით სავალდებულოა შესაბამის უჯრაში ჩაიწეროს 0. თუ მთელი სასუქი გამოყენებულ იქნა მხოლოდ ცალკე მდგომი ძირების გასანოყიერებლად, ორივე (მე-6 და მე-7) სვეტში ჩაიწერება 0.

3.2. მეურნეობაში გამოყენებული პესტიციდები. ივსება 3.1 ცხრილის ანალოგიურად (იხ. 3.1 ცხრილის შევსების წესი). დამატებით მიეთითება მხოლოდ გამოყენებული პესტიციდის ზომის ერთეული ცხრილის ქვეშ მითითებული კოდების მიხედვით. თუ მეურნემ რომელიმე პესტიციდის ნაწილი გამოიყენა გრამებში, ხოლო ნაწილი – ლიტრებში და უჭირს მათი საერთო ერთეულში გამოსახვა, აღნიშნული პესტიციდი ორ სტრიქონზე ჩაიწერება – პესტიციდის დასახელება და კოდი ერთიდაიგივე იქნება, ხოლო ზომის ერთეულში (სვ.3) მიეთითება შესაბამისი კოდი.

3.3. მეურნეობაში გამოყენებული ნაკელი. ცხრილში აისახება მეურნეობაში გამოყენებული ნაკელი. მეორე სვეტში ჩაიწერება გამოყენებული ნაკელის რაოდენობა კილოგრამებში წყაროების მიხედვით (საკუთარი მეურნეობის, ნაყიდი და ნაჩუქარი). თუ მეურნის მიერ, საანგარიშო კვარტალის განმავლობაში გამოყენებული ნაკელი, ნაწილობრივ ან მთლიანად იყო შექმნილი, მესამე სვეტში ჩაიწერება ერთი კილოგრამის ფასი (რა ფასადაც შეიძინა). სტრიქონში “სულ” უნდა მიეთითოს ნაკელით განოყიერებული ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურების ფართობები. იმ შემთხვევაში თუ ერთწლიანი ან მრავალწლოვანი კულტურები არ განოყიერებულა ნაკელით სავალდებულოა შესაბამის უჯრაში ჩაიწეროს 0.

ნაწილი 4. მეცხოველეობა.

4.1. პირუტყვისა და ფრინველის სულადობა.

აღირიცხება ინფორმაცია მეურნეობის სარგებლობაში არსებული პირუტყვის შესახებ. სარგებლობაში არსებული მოიცავს მეურნეობის საკუთრებაში არსებულს (გარდა იმისა, რაც იჯარით აქვს გაცემული) და მეურნეობის მიერ იჯარით აღებულს.

აუცილებელია დაცული იყოს ცხრილის ქუდში მოცემული არითმეტიკული ტოლობა, რომლის მიხედვითაც: სვ 1 + სვ 2 + სვ 3 + სვ 4 - სვ 5 - სვ 6 - სვ 7 - სვ 8 - სვ 9 - სვ 10 - სვ 11 = სვ 12. ასევე უნდა სრულდებოდეს ლოგიკური კავშირები სტრიქონებს შორის (იხ. საწყისი გამოკითხვის კითხვარი).

სულადობა გასული კვარტალის დასაწყისში. აღირიცხება მეურნეობაში არსებული სულადობა საანგარიშო კვარტალის დასაწყისში. თუ რესპონდენტის მიერ დასახელებული რაოდენობა დაემთხვევა წინა გამოკითხვაში არსებულ შესაბამის მაჩვენებელს (მაგ.: მეორე კვარტალის გამოკითხვის „სულადობა გასული კვარტალის დასაწყისში“ – პირველი კვარტალის გამოკითხვის „სულადობა გასული კვარტალის ბოლოს“) რომელიც ინტერვიუერს ჩანიშნული უნდა ჰქონდეს ჟურნალში ან მის სამუშაო რვეულში, მაშინ ინტერვიუერი ჩვეულებრივ გააგრძელებს სტრიქონის შევსებას, თუ მეტი აღმოჩნდება – ინტერვიუერი ჩაინიშნავს (ან ჩაასწორებს) აღნიშნულ სულადობას და გააგრძელებს სტრიქონის შევსებას, თუ ნაკლები აღმოჩნდება – ინტერვიუერი შეახსენებს რესპონდენტს, რომ წინა გამოკითხვისას მან უფრო მეტი რაოდენობა დაასახელა. თუ რესპონდენტი მაინც დაჟინებით იმეორებს ახალ რიცხვს, ინტერვიუერი გადააკეთებს პირველ სვეტში ჩაწერილ რიცხვს რესპონდენტის პასუხის შესაბამისად და კითხვარის შენიშვნაში ჩაწერს ამ ცვლილების შესახებ.

დაიბადა. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში დაბადებული (გამოჩევილი) პირუტყვის (ფრინველის) სულადობა (იმ შემთხვევაშიც, როდესაც წიწილის გამოჩეკვა ხდება ინკუბატორში).

შეძენილ ან ჩუქებულ იქნა. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მეურნეობის მიერ შეძენილი პირუტყვის (ფრინველის) სულადობა, ასევე სულადობა რომელიც მეურნეობას აჩუქეს ამ პერიოდში.

გამოიზარდა მეურნეობაში. აღირიცხება ის სულადობა, რომელიც საანგარიშო კვარტალის განმავლობაში გახდა 2 წელზე უფროსი, ფური/ფურკამეჩი, დედა ან ქათმის შემთხვევაში

კვერცხმდებელი (მაგ. დეკუღმა მოიგო და გახდა ფური, მოზვერი გაიზარდა და გახდა 2 წელზე უფროსი, წიწილა გაიზარდა და გახდა კვერცხმდებელი და ა.შ.).

დაეცა ან დაიკარგა. აღირიცხება იმ პირუტყვის (ფრინველის) სულადობა, რომელიც დაიღუპა ან დაიკარგა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში.

დაიკლა მეურნეობაში. აღირიცხება იმ პირუტყვის (ფრინველის) სულადობა, რომელიც მეურნეობაში დაიკლა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში.

გაიყიდა დასაკლავად. აღირიცხება იმ პირუტყვის (ფრინველის) სულადობა, რომელიც მეურნეობამ გაყიდა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში და მყიდველმა იგი შეიძინა უახლოეს პერიოდში (რამდენიმე დღე) დასაკლავად და არა გამოზრდის, გამრავლების ან სხვა მიზნით.

გაჩუქდა დასაკლავად. აღირიცხება იმ პირუტყვის (ფრინველის) სულადობა, რომელიც მეურნეობამ გააჩუქა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში და მისი ახალი მესაკუთრე აპირებს მის დაკვლას უახლოეს პერიოდში (რამდენიმე დღე) და არა მის გამოზრდას, გამრავლებას და ა.შ.

გაიყიდა სხვა მიზნით. აღირიცხება იმ პირუტყვის (ფრინველის) სულადობა, რომელიც მეურნეობამ გაყიდა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში და მყიდველმა იგი შეიძინა არა უახლოეს პერიოდში დასაკლავად, არამედ გამოზრდის, გამრავლების ან სხვა მიზნით.

გაჩუქდა სხვა მიზნით. აღირიცხება იმ პირუტყვის (ფრინველის) სულადობა, რომელიც მეურნეობამ გააჩუქა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში და მისი ახალი მესაკუთრე აპირებს არა მის დაკვლას უახლოეს პერიოდში არამედ, მის გამოზრდას, გამრავლებას და ა.შ.

ნატურით გადახდა. აღირიცხება იმ პირუტყვის (ფრინველის) სულადობა, რომელიც მეურნეობამ ნატურით გადაიხდა გარკვეული პროდუქტის/მომსახურების სანაცვლოდ საანგარიშო კვარტალის განმავლობაში.

სულადობა გასული კვარტალის ბოლოს. აღირიცხება მეურნეობაში არსებული სულადობა საანგარიშო კვარტალის ბოლოს.

გაყიდულ პირუტყვში აღებული თანხა. ივსება იმ შემთხვევაში თუ მეურნეობამ საანგარიშო კვარტალის განმავლობაში გაყიდა პირუტყვი (ფრინველი). მე-13 სვეტში ჩაიწერება ის მთლიანი თანხა, რომელიც მეურნეობამ აიღო შესაბამისი პირუტყვის (ფრინველის) გაყიდვიდან (მეშვიდე და მეცხრე სვეტებში ნაჩვენები რაოდენობებიდან).

4.2. მეურნეობაში ნაწარმოები მეცხოველეობის პროდუქცია და მისი გამოყენება.

აღირიცხება მხოლოდ მეურნეობაში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქცია (ნაყიდი ან ნაჩუქარი პროდუქცია მხედველობაში არ მიიღება).

4-13 სვეტებში მონაცემები აღირიცხება მესამე სვეტში მოცემული ზომის ერთეულების მიხედვით.

აუცილებელია დაცული იყოს ცხრილის ქუდში მოცემული არითმეტიკული ტოლობა, რომლის მიხედვითაც: სვ 4 + სვ 5 - სვ 6 - სვ 7 - სვ 8 - სვ 9 - სვ 10 - სვ 11 - სვ 12 = სვ 13.

ა) პირველადი პროდუქტები. 1-10 სტრიქონებში დაკლული პირუტყვისა და ფრინველის წონა აისახება დაკლულ წონაში (თავ-ფეხის და შიგნეულის გარეშე). თუ მეურნემ არ იცის დაკლული წონა და იცის მხოლოდ ცოცხალი წონა, ეს უკანასკნელი დაკლულ წონაში გადაყვანილ უნდა იქნეს შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 50%, ღორი – 70%, ცხვარი და თხა – 45 %, ფრინველი – 75%.

რაოდენობა. აღირიცხება იმ პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა, რომელთაგან მეურნეობამ მიიღო მეცხოველეობის პროდუქცია საანგარიშო კვარტალის განმავლობაში. 1-10 სტრიქონებში აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მეურნეობაში დაკლული პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, მე-11, მე-12, მე-13 და მე-15 სტრიქონებში აღირიცხება იმ მეწველი პირუტყვის რაოდენობა, რომელთაგან მეურნეობამ მიიღო რძე საანგარიშო კვარტალის განმავლობაში, მე-14 სტრიქონში – გაპარსული ცხვრების რაოდენობა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში, მე-16 სტრიქონში – კვერცხმდებელი ქათმების რაოდენობა, რომელთაგან მეურნეობამ მიიღო კვერცხი საანგარიშო კვარტალის განმავლობაში, მე-17 სტრიქონში – სკების რაოდენობა, რომელთაგან მეურნეობამ მიიღო თაფლი საანგარიშო კვარტალის განმავლობაში, ხოლო 18 სტრიქონში აბრეშუმის ჭიის რაოდენობა კილოგრამებში, რომელთაგან მეურნეობამ მიიღო პარკი საანგარიშო კვარტალის განმავლობაში. **1-10 სტრიქონებში აღირიცხული რაოდენობები აუცილებლად უნდა დაემთხვეს 4.1 ცხრილის მეექვსე სვეტში ჩაწერილ შესაბამის რაოდენობებს.** თუმცა დანარჩენი სტრიქონების შემთხვევაში შესაძლებელია ნაკლები იყოს 4.1 ცხრილის რაოდენობებზე: მეწველი ფური – ფურზე, მეწველი ფურკამეჩი – ფურკამეჩზე და კვერცხისმდებელი ქათამი კვერცხმდებელზე.

მარაგი გასული კვარტალის დასაწყისისათვის. ჩაიწერება მეურნეობაში არსებული პროდუქციის მარაგი საანგარიშო კვარტალის დასაწყისისათვის.

წარმოება. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა.

გაყიდვა. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მურნეობის მიერ გაყიდული პროდუქციის რაოდენობა.

გაჩუქება. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მურნეობის მიერ გაჩუქებული პროდუქციის რაოდენობა.

ნატურით გადახდა. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მურნეობის მიერ პროდუქტის/მომსახურების სანაცვლოდ ნატურით გადახდილი პროდუქციის რაოდენობა.

გადამუშავება. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მურნეობის მიერ გადამუშავებული პროდუქციის რაოდენობა.

საკვებად. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მურნეობის მიერ საკვებად გამოყენებული პროდუქციის რაოდენობა.

პირუტყვის საკვებად/საინკუბაციოდ (კვერცხის შემთხვევაში). აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მურნეობის მიერ პირუტყვის საკვებად ან საინკუბაციოდ (კვერცხის შემთხვევაში) გამოყენებული პროდუქციის რაოდენობა, მაგალითად პირუტყვის საკვებად მოწველილი რძის (მოზარდისათვის) და წარმოებული თაფლის ფუტკრის საკვებად (ზამთარში), გამოყენებული რაოდენობა. აქვე აღირიცხება საინკუბაციოდ და ფრინველის გამოსაკვებად გამოყენებული კვერცხიც. თუ რომელიმე სხვა პროდუქცია პირუტყვის საკვებად გამოყენებული იქნა იმის გამო, რომ ადამიანის საკვებად აღარ ვარგოდა, შესაბამისი რაოდენობა განიხილება როგორც დანაკარგები და აღირიცხება სვეტში „დანაკარგები“.

დანაკარგები. აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში პროდუქციის დანაკარგების (მურნეობაში შენახვისას გაფუჭებული) რაოდენობა.

მარაგი გასული კვარტალის ბოლოსათვის. აღირიცხება მურნეობაში არსებული პროდუქციის მარაგი საანგარიშო კვარტალის ბოლოსათვის.

გაყიდულ პროდუქციაში აღებული თანხა. აღირიცხება გასულ კვარტალში მურნეობის მიერ გაყიდული (მეექვსე სვეტში ნაჩვენები) პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული თანხა ლარებში.

ბ) გადამუშავებული პროდუქტები. აღირიცხება მურნეობაში გადამუშავებული მხოლოდ ის პროდუქტები, რომლებიც მურნეობაში წარმოებული პირველადი პროდუქციისაგანაა დამზადებული. ივსება ისევე, როგორც „ა“ ნაწილი (1- ლი და მე-2 სვეტები არ ივსება). გადამუშავებული პროდუქციის წარმოება ლოგიკურ შესაბამისობაში უნდა იყოს შესაბამისი პირველადი პროდუქციის მე-9 სვეტის (მურნეობაში გადამუშავება) რაოდენობასთან. (მაგალითად, გადამუშავებული რძის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მისგან მიღებული ყველის, ხაჭოს, მაწონის, კარაქის და არაჟანის რაოდენობას). ეჭვის გაჩენის შემთხვევაში

ინტერვიუერმა უნდა შესთავაზოს რესპონდენტს, რომ ერთობლივად გაანალიზონ და გათვალონ საექვო მაჩვენებლები. თუ მეურნეობაში წარმოებული მეცხოველეობის პირველადი პროდუქციიდან მიღებულია ისეთი პროდუქტები, რომელიც ცხრილის ჩამონათვალში არ არის, უნდა ჩაიწეროს სტრიქონზე “სხვა” და მიეთითოს პროდუქციის დასახელება.

ნაწილი 6. ეკონომიკური ინფორმაცია მეურნეობის შესახებ. აღირიცხება ინფორმაცია საანგარიშო კვარტალის განმავლობაში საწარმოო დანახარჯების შესახებ. დანახარჯები აუცილებლად უნდა ეხებოდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და მომსახურებას. თუ მეურნეობაში გაწეული ხარჯების მხოლოდ ნაწილი მოხმარდა სოფლის მეურნეობას, აისახება ხარჯების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ სოფლის მეურნეობას ეხებოდა. პირველ სვეტში ჩამოთვლილია შესაძლო ხარჯები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შეივსება მეორე ან მესამე სვეტები. დანახარჯის რომელიმე სახეობა, რომელიც მეურნემ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში გასწია და ჩამონათვალში არ არის უნდა ჩაიწეროს „სხვა“-ში სიტყვიერად და მიეთითოს გადახდილი თანხა ლარებში. მეორე სვეტში (ფულით გადახდილი თანხა) ჩაიწერება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მეურნეობაში გაწეული ფულადი ხარჯები, მესამე სვეტში (ნატურით გადახდილის შეფასებული ღირებულება) კი - ნატურით გაწეული ხარჯები, შეფასებული ლარებში. იმ შემთხვევაში როდესაც მეურნემ ჯამური თანხა/ნატურა გადაიხადა კომპლექსურ სამუშაოზე, რომლის ჩაშლაც ვერ ხერხდება ცალკეულ კომპონენტებად (ა1-ე7 კითხვები) დანახარჯი უნდა აისახოს „ვ1“ კითხვაში - „კონტრაქტით მიღებულ სერვისებზე გაწეული ხარჯები“.

ნაწილი 7. ინფორმაცია ოჯახურ მეურნეობაში მომუშავეთა შესახებ (ივსება მხოლოდ შინამეურნეობების შემთხვევაში). აღირიცხება ინფორმაცია 15 წლის და უფროსი ასაკის შინამეურნეობის წევრების და არაწევრი პირების მიერ, საანგარიშო კვარტალის განმავლობაში, მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე დახარჯული დროის შესახებ. შინამეურნეობის არაწევრი პირები მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში შესაძლოა მონაწილეობდნენ როგორც მეურნის მიწვევით, ისე პირადი ინიციატივით, ანაზღაურებით ან მის გარეშე, ერთჯერადი ან პერიოდული სამუშაოების შესასრულებლად (საგაზაფხულო სამუშაოები, მოსავლის აღება, პირუტყვის/ფრინველის მოვლა და სხვ.).

სასოფლო-სამეურნეო აქტივობები მოიცავს როგორც ფიზიკურ სამუშაოებს, ისე მეურნეობის მართვას და ადმინისტრირებას, მათ შორის: მიწის გაწმენდას, ხვნას, თესვას, მორწყვას, მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლას, ნიადაგის განოყიერებას, მოსავლის

აღებას, პირუტყვის/ფრინველის/ფუტკრის ოჯახის მოვლას და პროდუქციის მიღებას (გამოკვება, ვეტერინარული და ჰიგიენური მოვლა, მოწველა, დაკვლა), ასევე, პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომზადებას გასაყიდად (გასუფთავება, დეზინფექცია, დახარისხება, შეფუთვა) და ა.შ. მეურნეობის მართვა და ადმინისტრირება მოიცავს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაგეგმვას, ფინანსური და ადამიანური რესურსების საჭიროებების განსაზღვრას, სამუშაო ძალის ან/და ტექნიკის მობილიზებას და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო აქტივობები არ მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვა, ტყის ნედლეულის დამზადება, თევზის წარმოება და გადამამუშავება, ხელნაკეთი ნივთების დამზადება და სხვა მეურნეობაში მუშაობა.

კითხვა 7.1 - გაეცემა პასუხი „დიახ“, თუ გასული კვარტალის განმავლობაში მეურნეობაში განხორციელდა რაიმე სახის სასოფლო-სამეურნეო აქტივობა 15 წლის ან უფროსი ასაკის შინამეურნეობის წევრი ან არაწევრი პირის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაეცემა პასუხი „არა“ და დასრულდება ნაწილი 7-ის შევსება.

კითხვა 7.2 - გაეცემა პასუხი „დიახ“, თუ გასული კვარტალის განმავლობაში მეურნეობაში რაიმე სახის სასოფლო-სამეურნეო აქტივობა განხორციელდა 15 წლის ან უფროსი ასაკის შინამეურნეობის წევრის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაეცემა პასუხი „არა“ და ინტერვიუ გაგრძელდება კითხვა 7.5-დან.

კითხვა 7.3ა - ჩაიწერება შინამეურნეობის ყველა იმ 15 წლის ან უფროსი ასაკის წევრის სახელი, რომელიც საანგარიშო კვარტალის განმავლობაში, თუნდაც ერთი საათით, მონაწილეობდა მეურნეობაში ჩატარებულ სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში.

კითხვა 7.3ბ - ჩაიწერება შინამეურნეობის წევრის სქესი.

კითხვა 7.4 - თითოეული შინამეურნეობის წევრისთვის ჩაიწერება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში ნამუშევარი დღეების რაოდენობა, დროითი კატეგორიების მიხედვით:

ა) მთელი დღე (8 სთ ან მეტი). ჩაიწერება იმ დღეების რაოდენობა, როდესაც შინამეურნეობის წევრმა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში იმუშავა მთელი დღე (8 საათი ან მეტი).

ბ) ნახევარი დღე (4 სთ-დან 8 სთ-მდე). ჩაიწერება იმ დღეების რაოდენობა, როდესაც შინამეურნეობის წევრმა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში იმუშავა ნახევარი დღე (4 საათიდან 8 საათამდე).

გ) ნახევარ დღეზე ნაკლები (4 სთ-ზე ნაკლები). ჩაიწერება იმ დღეების რაოდენობა, როდესაც შინამეურნეობის წევრმა საანგარიშო კვარტალის განმავლობაში იმუშავა ნახევარ დღეზე ნაკლები (4 საათზე ნაკლები).

კითხვა 7.5 - გაეცემა პასუხი „დიახ“, თუ გასული კვარტალის განმავლობაში მეურნეობაში რაიმე სახის სასოფლო-სამეურნეო აქტივობა განხორციელდა 15 წლის ან უფროსი ასაკის შინამეურნეობის არაწევრი პირის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაეცემა პასუხი „არა“ და დასრულდება ნაწილი 7-ის შევსება.

კითხვა 7.6ა - ჩაიწერება იმ 15 წლის ან უფროსი ასაკის შინამეურნეობის არაწევრი პირების სახელები (ან პირობითი სახელები), რომლებიც საანგარიშო კვარტალის განმავლობაში, ინდივიდუალურად ან სხვა მომუშავეებთან ერთად, მეურნის მიწვევით ან პირადი ინიციატივით, ანაზღაურებით ან მის გარეშე, ერთჯერადი ან პერიოდული სამუშაოების შესასრულებლად, მონაწილეობდნენ მეურნეობაში ჩატარებულ სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში (თუნდაც ერთი საათით). იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო აქტივობების განხორციელებაში მონაწილეობდა შინამეურნეობის არაწევრი პირი (როგორც წესი, მეურნის მიწვევით), რომელთან ერთადაც მისივე ორგანიზებით იმყოფებოდნენ და მუშაობდნენ სხვა პირები, ჩაიწერება მხოლოდ აღნიშნული „ორგანიზატორი“ მომუშავეის სახელი.

კითხვა 7.6ბ - იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის არაწევრი პირი მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში მონაწილეობდა ინდივიდუალურად ჩაიწერება „1“. ხოლო, თუ შინამეურნეობის არაწევრი პირი მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში მონაწილეობდა სხვა პირებთან ერთად, რომლებიც მისივე ორგანიზებით იმყოფებოდნენ და მასთან ერთად მუშაობდნენ მეურნეობაში, ჩაიწერება „2“.

კითხვა 7.6გ - (პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 7.6ბ კითხვაზე პასუხია „1“). ჩაიწერება შინამეურნეობის არაწევრი პირის სქესი.

კითხვა 7.6დ - (პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 7.6ბ კითხვაზე პასუხია „2“). ჩაიწერება შინამეურნეობის არაწევრ პირთან („ორგანიზატორთან“) ერთად მომუშავეთა რაოდენობას დამატებული ერთი (თავად „ორგანიზატორი“).

კითხვა 7.6ე - (პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 7.6ბ კითხვაზე პასუხია „2“). ჩაიწერება კითხვა 7.6დ-ში მითითებული მომუშავეების რაოდენობიდან ქალების რაოდენობა.

კითხვა 7.7 - ივსება კითხვა 7.4-ის ანალოგიურად.

ნაწილი 8. ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოში მომუშავეთა შესახებ (ივსება მხოლოდ იურიდიული პირების შემთხვევაში). აღირიცხება ინფორმაცია საანგარიშო კვარტალის განმავლობაში საწარმოს სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე დახარჯული დროის შესახებ.

კითხვა 8.1 - ჩაიწერება იმ მამაკაცების რაოდენობა, რომლებიც გასული კვარტალის განმავლობაში, თუნდაც ერთი საათით, მონაწილეობდნენ საწარმოს სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში.

კითხვა 8.2 - ჩაიწერება საწარმოს სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე მამაკაცების მიერ დახარჯული (ნამუშევარი) საათების ჯამური რაოდენობა (კაც-საათი).

კითხვა 8.3 - ჩაიწერება იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც გასული კვარტალის განმავლობაში, თუნდაც ერთი საათით, მონაწილეობდნენ საწარმოს სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში.

კითხვა 8.4 - ჩაიწერება საწარმოს სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე ქალების მიერ დახარჯული (ნამუშევარი) საათების ჯამური რაოდენობა (კაც-საათი).

დასკვნითი გამოკითხვის კითხვარი (მეოთხე კვარტალი)

კითხვარის თავფურცელი და ინფორმაცია მეურნეობაში ცვლილების შესახებ ივსება ისევე, როგორც საწყისი და კვარტალური გამოკითხვის კითხვარის შემთხვევაში. ასევე იდენტურია „ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია მეურნეობის შესახებ“ – ის შევსების წესი, სადაც აღირიცხება საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობა. ასევე საწყისი კითხვარის მსგავსად ივსება „ნაწილი 2. მიწის გამოყენება ნაკვეთების მიხედვით“ (იხ. საწყისი გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია).

2.3 დია გრუნტის კულტურები. აღირიცხება ყველა ის კულტურა, რომელიც დაითესა საანგარიშო წლის განმავლობაში და ასევე ის კულტურები, რომელთა მოსავლის აღება მოხდა საანგარიშო წელს (შესაძლებელია დათესილი იყო საანგარიშო წლის წინა წლის შემოდგომაზე). 1–4 სვეტების შევსება ხდება ისევე, როგორც საწყისი გამოკითხვის კითხვარის შემთხვევაში (იხ. საწყისი გამოკითხვის კითხვარის „2.3 ა) სახნავი“ – ის შევსების ინსტრუქცია).

ა) სახნავი. აღირიცხება ერთწლიანი კულტურები მრავალწლოვანი კულტურების სანერგეების ჩათვლით.

მორწყვა. აღირიცხება ინფორმაცია მორწყვის შესახებ – მორწყვა თუ არა შესაბამისი კულტურა საკმარისად და იყო თუ არა ამის საჭიროება. მიეთითება შესაბამისი კოდი სქოლიოში მოცემული კოდების მიხედვით. იგულისხმება ნებისმიერი საშუალებით კულტურის ხელოვნური მორწყვაც (თუნდაც ერთჯერადად).

აღებული ფართობი. აღირიცხება ფართობი ჰექტრებში, რომლიდანაც მოხდა შესაბამისი კულტურის მოსავლის აღება.

აღებული მოსავალი. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში შესაბამისი კულტურის აღებული მოსავალი კილოგრამებში, ნერგები, ჩითილები, ყვავილები და ჭყინტი სიმინდი კი ცალებში.

მინდორში დარჩენილი მოსავალი. აღირიცხება შესაბამისი კულტურის მოსავლის ის ნაწილი, რომლის აღებაც ვერ მოხერხდა რაიმე მიზეზის გამო.

ბ) მრავალწლოვანი ნარგავები. აღირიცხება მრავალწლოვანი ნარგავები რიგთაშორის დათესილი ერთწლიანი კულტურების ჩათვლით. მეხუთე, მეცხრე და მეთექვსმეტე სვეტები ივსება ისევე როგორც „ა) სახნავის“ შემთხვევაში.

ძირების რაოდენობა. აღირიცხება საანგარიშო წლის 31 დეკემბერს არსებული შესაბამისი მრავალწლოვანი ნარგავების ძირების სრული რაოდენობა.

მათ შორის მსხმოიარე ასაკში. აღირიცხება საანგარიშო წლის 31 დეკემბერს არსებული შესაბამისი მრავალწლოვანი ნარგავების ძირების ის ნაწილი, რომელმაც გასული წლების განმავლობაში ერთხელ მაინც მოიხსნა ნაყოფი.

2.4 ცალკე მდგომი ძირები. ივსება საწყისი გამოკითხვის კითხვარის მსგავსად (იხ. საწყისი გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია). ძირების რაოდენობა აღირიცხება საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აღებული მოსავალი. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში შესაბამისი კულტურის აღებული მოსავალი კილოგრამებში.

მინდორში დარჩენილი მოსავალი. აღირიცხება შესაბამისი კულტურის მოსავლის ის ნაწილი, რომლის აღებაც ვერ მოხერხდა რაიმე მიზეზის გამო.

2.5 სათბურში მოყვანილი კულტურები. ივსება საწყისი გამოკითხვის კითხვარის მსგავსად (იხ. საწყისი გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია).

აღებული მოსავალი. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში შესაბამისი კულტურის აღებული მოსავალი კილოგრამებში.

ნაწილი 2ა. მემცენარეობის პროდუქციის გამოყენება.

2.6 მეურნეობაში ნაწარმოები მემცენარეობის პროდუქცია და მისი გამოყენება. აღირიცხება მხოლოდ მეურნეობაში წარმოებული მემცენარეობის პროდუქცია (ნაყიდი ან ნაჩუქარი პროდუქტები მხედველობაში არ მიიღება).

აუცილებელია დაცული იყოს ცხრილის ქუდში მოცემული არითმეტიკული ტოლობა, რომლის მიხედვითაც: სვ3 + სვ4 - სვ5 - სვ6 - სვ7 - სვ8 - სვ9 - სვ10 - სვ11 - სვ12 = სვ13

ა) სასოფლო სამეურნეო კულტურები. აღირიცხება ყველა ის სასოფლო სამეურნეო კულტურა (შესაბამისი კოდების მითითებით) რომლის მარაგიც იყო მეურნეობაში საანგარიშო წლის 1 იანვარს ან/და წარმოებული იყო საანგარიშო წლის განმავლობაში. თუ აღმოჩნდა, რომ საანგარიშო წლის 1 იანვარს მეურნეობის მარაგში არსებული კულტურა მეურნეს გასულ წელს არ უწარმოებია, აღირიცხება მხოლოდ ამ მარაგის გამოყენება.

სრული მარაგი გასული წლის 1 იანვრისათვის. აღირიცხება მეურნეობაში არსებული პროდუქციის მარაგი საანგარიშო წლის პირველი იანვრისათვის.

წარმოება. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა.

გაყიდვა. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ გაყიდული პროდუქციის რაოდენობა. გაყიდვაში იგულისხმება ბარტერიც.

გაჩუქება. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ გაჩუქებული პროდუქციის რაოდენობა.

ნატურით გადახდა. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ პროდუქტის/მომსახურების სანაცვლოდ ნატურით გადახდილი პროდუქციის რაოდენობა.

გადამუშავება. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ გადამუშავებული პროდუქციის რაოდენობა.

საკვებად. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ საკვებად გამოყენებული პროდუქციის რაოდენობა.

პირუტყვის საკვებად. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ პირუტყვის საკვებად გამოყენებული პროდუქციის რაოდენობა. თუ რომელიმე პროდუქტი პირუტყვის საკვებად იქნა გამოყენებული იმის გამო, რომ იგი ადამიანის საკვებად აღარ ვარგოდა, განიხილება დანაკარგად და არ ჩაითვლება როგორც პირუტყვის საკვები.

თესლად. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ სათესლედ გამოყენებული პროდუქციის რაოდენობა.

დანაკარგები. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში პროდუქციის დანაკარგების რაოდენობა. დანაკარგებში იგულისხმება მინდვრიდან გამოტანილი პროდუქცია, რომელიც გაფუჭდა ტრანსპორტირების ან შენახვის დროს.

სრული მარაგი გასული წლის 31 დეკემბრისათვის. აღირიცხება მეურნეობაში არსებული პროდუქციის მარაგი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის.

გაყიდულ პროდუქციაში აღებული თანხა. აღირიცხება გასული წლის განმავლობაში პროდუქციის გაყიდვიდან (მეხუთე სვეტში ნაჩვენები) მიღებული თანხა ლარებში. ბარტერის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს სანაცვლოდ მიღებული საქონელის ან მომსახურების ღირებულება. მაგალითად, თუ მეურნემ კომბაინერს მომსახურების საფასური აღებული ხორბლის ნაწილით გადაუხადა, ეს ნაწილი უნდა ჩაითვალოს ბარტერით გაყიდულად და მიეთითოს ხორბლის ან ტრაქტორისტის მომსახურების ღირებულება.

ბ) მეორადი პროდუქცია პირუტყვის საკვებად. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობაში წარმოებული ხორბალის, ქერის, სიმინდის, მზესუმზირას მოსავლის აღებისა და გადამუშავების შემდეგ დარჩენილი მასა. ივსება „ა) ნაწილის“ მსგავსად.

გ) გადამუშავებული პროდუქტები. აღირიცხება მეურნეობაში გადამუშავებული მხოლოდ ის პროდუქტები, რომლებიც მეურნეობაში წარმოებული პირველადი პროდუქციისაგანაა დამზადებული (როგორც წლის დასაწყისში არსებული მარაგის, ისე წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციისაგან). ივსება ისევე, როგორც „ა“ ნაწილი. გადამუშავებული პროდუქციის წარმოება ლოგიკურ შესაბამისობაში უნდა იყოს შესაბამისი პირველადი პროდუქციის მე-8 სვეტის (მეურნეობაში გადამუშავება) რაოდენობასთან.

2.7 მეურნის მიერ მეურნეობაში ან მის გარეთ ნაწარმოები თივა და მისი გამოყენება. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში, მეურნეობის მიერ მეურნეობაში ან სხვა ნებისმიერ ადგილას მოთიბული თივა კილოგრამებში. აუცილებელია დაცული იყოს ცხრილის ქუდში მოცემული არითმეტიკული ტოლობა, რომლის მიხედვითაც: სვ1 + სვ2 - სვ3 - სვ4 - სვ5 - სვ6 - სვ7 = სვ8.

სრული მარაგი გასული წლის 1 იანვრისათვის. აღირიცხება მეურნეობაში არსებული თივის მარაგი საანგარიშო წლის პირველი იანვრისათვის.

წარმოება. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ წარმოებული თივის რაოდენობა.

გაყიდვა. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ გაყიდული თივის რაოდენობა. გაყიდვაში იგულისხმება ბარტერიც, რომლის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს სანაცვლოდ მიღებული საქონელის ან მომსახურების ან პროდუქციის ღირებულება.

გაჩუქება. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ გაჩუქებული თივის რაოდენობა.

ნატურით გადახდა. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ პროდუქტის/მომსახურების სანაცვლოდ ნატურით გადახდილი თივის რაოდენობა.

მეურნეობაში მოხმარება. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნის მიერ მეურნეობაში გამოყენებული თივის რაოდენობა.

დანაკარგები. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში შენახული გაფუჭებული თივის რაოდენობა.

სრული მარაგი გასული წლის 31 დეკემბრისათვის. აღირიცხება მეურნეობაში არსებული თივის მარაგი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის.

გაყიდულ პროდუქციაში აღებული თანხა. აღირიცხება გასული წლის განმავლობაში თივის გაყიდვიდან (მესამე სვეტში ნაჩვენები) მიღებული თანხა ლარებში. გაყიდვაში იგულისხმება ბარტერიც.

ნაწილი 3. სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება. ამ ნაწილში შემავალი სამივე ცხრილი ივსება ანალოგიურად როგორც კვარტალური გამოკითხვის კითხვარში (იხ. კვარტალური გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია). განსხვავებით კვარტალური გამოკითხვის კითხვარისგან აღირიცხება არა საანგარიშო კვარტალის, არამედ მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში გამოყენებული სასუქები და პესტიციდები.

ნაწილი 4. მეცხოველეობა. 4.1 და 4.2 ცხრილები ივსება ისევე, როგორც კვარტალური გამოკითხვის კითხვარი. მსგავსად კვარტალური გამოკითხვის კითხვარისა აღირიცხება საანგარიშო კვარტალის სტატისტიკა მეცხოველეობის შესახებ (იხ. კვარტალური გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია).

ნაწილი 5. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და შენობები.

5.1. ძალოვანი დანადგარის მქონე ტექნიკა. 5.1.1 და 5.2.1 ცხრილებში აღირიცხება მეურნეობის საკუთრებაში არსებული ტექნიკა და მოწყობილობები.

5.1.1. საკუთარი ტექნიკის რაოდენობა. აღირიცხება საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეურნეობის საკუთრებაში არსებული ძალოვანი დანადგარების (მოტორი, ელექტრომოტორი) მქონე საკუთარი ტექნიკა შესაბამისი კოდების მითითებით (იხ. დანართი) რომელიც შეიძლება იყოს მუშა მდგომარეობაში მყოფი ან სარემონტო. სარემონტოში იგულისხმება, ტექნიკა, რომელიც ექვემდებარება გარემონტებას. ცხრილში მოცემულია სამი ასაკობრივი ჯგუფი: 5 წლამდე, 5–დან – 10 წლამდე და 10 წლის ზევით. შესაბამისი ტექნიკის გასწვრივ შესაბამის სვეტში აღირიცხება მეურნეობის საკუთრებაში არსებული ტექნიკის რაოდენობა. თუ მეურნეს არ შეუძლია ტექნიკის სიმძლავრის დასახელება, პირველ სვეტში მიეთითება ტექნიკის დასახელება, ხოლო მეორე სვეტში მიეთითება კოდი 999 (სხვა).

5.2.1. საკუთარი მოწყობილობების რაოდენობა. აღირიცხება საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეურნეობის საკუთრებაში არსებული საკუთარი მოწყობილობები შესაბამისი კოდების მითითებით (იხ. დანართი), რომელთა ფუნქციონირება დამოკიდებულია სხვა ერთეულის (ტრაქტორის, ავტომანქანის და ა.შ.) ძალოვან დანადგარებზე. შესაბამისი

მოწყობილობის გასწვრივ აღირიცხება მეურნეობის საკუთრებაში არსებული ტექნიკის რაოდენობა.

5.3. შენობა-ნაგებობები. აღირიცხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობები. მე-2 სვეტში ჩაიწერება იმ ნაკვეთის ნომერი, რომელზეც მდებარეობს შესაბამისი ნაგებობა (შენობა). თუ მოცემული ტიპის ნაგებობები რამდენიმე ნაკვეთზეა, აირჩევა ყველაზე მნიშვნელოვანი (მეურნის აზრით) ნაკვეთის ნომერი. მე-3 და მე-4 სვეტებში ჩაიწერება მეურნის საკუთრებაში არსებული შესაბამისი ნაგებობების რაოდენობა და სრული ფართობი (თუ ნაგებობა მრავალსართულიანია, იწერება ყველა სართულის ჯამური ფართობი). მე-5 და მე-6 სვეტებში ჩაიწერება მეურნის მიერ დაქირავებული (იჯარით აღებული) შესაბამისი ნაგებობების რაოდენობა და ფართობი.

სახლი. მეურნეობის სახლი ან (ოფისი) ჩაიწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დგას მიწაზე, რომელიც მეურნეობის მიწის ნაწილს შეადგენს.

პირუტყვის სადგომი. იგულისხმება როგორც ნაგებობა ისე გადაუხურავი შემოღობილი ადგილიც.

ფრინველის სადგომი. იგულისხმება როგორც ნაგებობა ისე გადაუხურავი შემოღობილი ადგილიც.

პროდუქციის შესანახი. იგულისხმება საბძელი, სათივე, სასიმინდე (ნალია), სარდაფი და ა.შ.

ტექნიკის შესანახი. იგულისხმება ნებისმიერი ნაგებობა (შემოღობილი და გადახურული), რომელიც გამოიყენება 5.1 და 5.2 ცხრილებში მითითებული ტექნიკისა და მოწყობილობების შესანახად.

სათბური. იგულისხმება კაპიტალური კონსტრუქციის ნაგებობა, გადახურული და შემოფარგლული მინით ან პლასტიკური მასალებით.

სხვა. მიეთითება იმ შემთხვევაში თუ მეურნეს აქვს ერთზე მეტი სახლი, პირუტყვის სადგომი და სხვა.

5.1.2 ტექნიკის გამოყენება – 5.2.2 მოწყობილობის გამოყენება. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ გამოყენებული (საკუთარი ან დაქირავებული) ტექნიკა და მოწყობილობები შესაბამისი კოდების (იხ. დანართი) და წყაროების მითითებით (საკუთარი, დაქირავებული და ა.შ. იხ. სქოლიო). თუ ერთი და იგივე ტიპის ტექნიკა სხვადასხვა წყაროდან იქნა გამოყენებული, იგი რამდენიმეჯერ ჩაიწერება განსხვავებული წყაროების მითითებით.

6.1 ეკონომიკური ინფორმაცია მეურნეობის შესახებ. ივსება კვარტალური გამოკითხვის კითხვარის ანალოგიურად (იხ. კვარტალური გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია). აღირიცხება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მეურნეობის საწარმოო დანახარჯები.

6.2. სასოფლო-სამეურნეო კრედიტი. აღირიცხება საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ აღებული კრედიტი, რომელიც მოხმარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ან მის განვითარებას.

თანხა. აღირიცხება კრედიტის თანხა ლარებში.

წყარო. აღირიცხება ვისგან არის კრედიტი აღებული და მიეთითება შესაბამისი კოდი (იხ. სქოლიო).

საპროცენტო განაკვეთი. აღირიცხება აღებული კრედიტის საპროცენტო განაკვეთი.

პროცენტის დარიცხვის პერიოდი. აღირიცხება პროცენტის დარიცხვის პერიოდი. მაგალითად თუ აღებულია წელიწადში 10-პროცენტისანი კრედიტი, მე-3 სვეტში იწერება 10, ხოლო მე-4 სვეტში – 4 (წელიწადის კოდი).

კრედიტის აღების მიზანი – ხანგრძლივობა – გირაო ან გარანტია. აღირიცხება კრედიტის აღების მიზანი, ხანგრძლივობა და კრედიტის ასაღებად ჩადებული გირაო ან გარანტია სქოლიოში მითითებული შესაბამისი კოდების მიხედვით.

ინფორმაცია გამოკითხვის მიმდინარეობის შესახებ. ივსება ანალოგიურად, როგორც საწყისი და კვარტალური გამოკითხვების შემთხვევაში (იხ. საწყისი გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია).

ნაწილი 7. ინფორმაცია ოჯახურ მეურნეობაში მომუშავეთა შესახებ (ივსება მხოლოდ შინამეურნეობების შემთხვევაში). ივსება ისევე, როგორც კვარტალური გამოკითხვის კითხვარი. მსგავსად კვარტალური გამოკითხვის კითხვარისა აღირიცხება საანგარიშო კვარტალის სტატისტიკა ოჯახურ მეურნეობაში მომუშავეთა შესახებ (იხ. კვარტალური გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია).

ნაწილი 8. ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოში მომუშავეთა შესახებ (ივსება მხოლოდ იურიდიული პირების შემთხვევაში). ივსება ისევე, როგორც კვარტალური გამოკითხვის კითხვარი. მსგავსად კვარტალური გამოკითხვის კითხვარისა აღირიცხება საანგარიშო კვარტალის სტატისტიკა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მომუშავეთა შესახებ (იხ. კვარტალური გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია).

ნაწილი 9. შემოსავლის სხვა წყაროები.

აღირიცხება ინფორმაცია მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული იმ შემოსავლების შესახებ, რომელიც არ აღირიცხა წინა ნაწილებში; ანუ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული აქტივობებიდან მიღებული შემოსავლები, გარდა ნაწილ 2.6-ში (სადაც აღირიცხება ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურების, მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პირუტყვის საკვები მემცენარეობის მეორადი პროდუქტების და გადამუშავებული მემცენარეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი), ნაწილ 2.7-ში (სადაც აღირიცხება თივის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი), ნაწილ 4.1-ში (სადაც აღირიცხება პირუტყვის/ფრინველის/ფუტკრის ოჯახის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი) და ნაწილ 4.2-ში (სადაც აღირიცხება მეცხოველეობის პირველადი პროდუქციის და გადამუშავებული მეცხოველეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი) აღრიცხული შემოსავლებისა.

თითოეული შემოსავლის ტიპის (კითხვები 9.1-9.6) შემთხვევაში, აღირიცხება როგორც ფულადი სახით, აგრეთვე ნატურით მიღებული შემოსავალი, შეფასებული ლარებში.

9.1 სხვა მეურნეობაში შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი. აღირიცხება მეურნეობის წევრ(ებ)ის მიერ სხვა მეურნეობაში ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს: მიწის გაწმენდას, ხვნას, თესვას, მორწყვას, მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლას, ნიადაგის განოყიერებას, მოსავლის აღებას, პირუტყვის/ფრინველის/ფუტკრის ოჯახის მოვლასა და პროდუქციის მიღებას - გამოკვებას, ვეტერინარულ და ჰიგიენურ მოვლას, მოწველას, დაკვლას, მემცენარეობის ან მეცხოველეობის პირველადი პროდუქციის მომზადებას გასაყიდად (გასუფთავება, დეზინფექცია, დახარისხება, შეფუთვა), სამუშაოების დაგეგმვას, ფინანსური და ადამიანური რესურსების საჭიროებების განსაზღვრას, სამუშაო ძალის ან/და ტექნიკის მობილიზებას და ა.შ.

9.2 მიწის და შენობა-ნაგებობების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. აღირიცხება მეურნეობის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ან სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობების (პირუტყვის/ფრინველის სადგომი, პროდუქციის ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესანახი, სათბური, პროდუქციის გადასამუშავებელი შენობა და ა.შ.) გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი.

9.3 სხვა სასოფლო-სამეურნეო აქტივების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. აღირიცხება მეურნეობის სარგებლობაში არსებული სხვა სასოფლო-სამეურნეო აქტივების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. ასეთი აქტივი შეიძლება იყოს პირუტყვი/ფრინველი/ფუტკრის ოჯახი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-დანადგარები და იარაღები, ცარიელი სკა, მცირე ზომის ხეების ჩასარგავი ხის კონსტრუქცია, წვრილი ხეების შესამაგრებელი ხის ან რკინის ნაჭრები, საფრთხობელა და ა.შ., რომელთა გამოყენებაც საზოგადოდ მეურნეობაში ხორციელდება, მაგრამ დროებით გაქირავებულია გარკვეული მიზეზით (მეურნის მოუცლელობა, გარკვეულ პერიოდში მოცემული აქტივის საჭიროების ნაკლებობა და ა.შ.).

9.4 სასტუმროდან, რესტორნიდან, კვების ობიექტებიდან და სხვა დასასვენებელი/საგანმანათლებლო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი. აღირიცხება პატარა ან საშუალო საოჯახო სასტუმროდან, რესტორნიდან ან სხვა კვების ობიექტიდან და სხვა დასასვენებელი/საგანმანათლებლო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი. განვიხილოთ თითოეული:

სასტუმრო: იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული, სავარაუდოდ პატარა ან მოზრდილი, საოჯახო სასტუმრო, სადაც კლიენტთა მოზიდვის ძირითადი საშუალება მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო გარემო და/ან აქტივობაა - მარანი, საწნახელი, რთველი, ვენახი, ხეხილის ბაღი/პლანტაცია, ყვავილნარი, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის/ფრინველის ეგზოტიკური (არაგავრცელებული) ჯიშები და ა.შ.; ანუ სასტუმრო, რომელიც, მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო გარემოს/საქმიანობის არარსებობის შემთხვევაში, მოცემული ფორმით არ იარსებებდა (სასტუმრო, რომლის ძირითადი მახასიათებელი, სხვა სასტუმროებისაგან განმასხვავებელი, პოპულარიზატორი არის სასოფლო-სამეურნეო გარემო/საქმიანობა).

რესტორანი/კვების ობიექტი: იგულისხმება მოზრდილი ან მცირე ზომის კვების ობიექტი (დიდი ალბათობით, მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული), სადაც კერძების ძირითადი ნაწილის დასამზადებლად გამოიყენება მეურნეობაში მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია; და სწორედ ის ფაქტი, რომ კერძების მოსამზადებლად გამოიყენებული პროდუქტები ადგილობრივია, ახალია, ნატურალურია, სუფთაა, არ არის შეწამლული და ა.შ. (რასაც კლიენტი კვების ობიექტის და მეურნეობის გაუმიჯნაობიდან გამომდინარე თავად აფასებს) განაპირობებს კლიენტთა ძირითადი ნაწილის მოზიდვას. ასეთი კვების ობიექტის მაგალითებია: სამწვადე ობიექტი, სადაც გამოიყენება მეურნეობაში გამოზრდილი ღორები თუ ცხვრები; სახინკლე ან საჩებურეკე, სადაც გამოიყენება მეურნეობაში გამოზრდილი პირუტყვი; სახაჭაპურე, სადაც გამოიყენება მეურნეობაში მიღებული ყველი და/ან მეურნეობაში მოყვანილი ხორბალი; საჩაიე, სადაც

გამოიყენება მეურნეობაში მოყვანილი ჩაი, ხილი და მისი გადამუშავების შედეგად მიღებული დესერტები/ტკბილეული (ჩურჩხელა, ჩირი, მურაბა, ხილის ჯემი, კრეპები და სხვ.) და ა.შ.

დასასვენებელი ზონა: იგულისხმება აგრალური დასასვენებელი ზონები, ანუ მეურნეობის ტერიტორიაზე გამოყოფილი სპეციალური ადგილები, სადაც შესაძლებელია წიგნის კითხვა, წერა, მეცადინეობა, ოჯახური პიკნიკი და ა.შ., კლიენტთა მოზიდვის ძირითადი საშუალება კი სასოფლო-სამეურნეო გარემოა: ჩრდილნარი ბაღნარში, ყვავილნარი, კომფორტული ბაღები ლამაზი ხედით და ა.შ.

საგანმანათლებლო მომსახურება: იგულისხმება საკუთარ მეურნეობაში საგანმანათლებლო ტურები სოფლის მეურნეობის შესახებ (ვენახის/ხეხილის ბაღის ფორმირება, ფუტკრის მოვლის პრაქტიკა, ყურძნის დაწურვის, რძის გადამუშავების ტექნოლოგიები და ა.შ.), სადაც სწავლებას ხელმძღვანელობს მეურნე/მეურნის ოჯახის წევრი, რომლის ცოდნა ძირითადად ეფუძვნება დროთა განმავლობაში საკუთარ მეურნეობაში მიღებულ გამოცდილებას.

ნაწილი 10. სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები.

აღირიცხება მონაცემები საანგარიშო პერიოდში მეურნეობის მიერ მიღებული სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების შესახებ, მიუხედავად იმისა, პირდაპირი ფორმით იქნა იგი მიღებული (ფული, სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერი) თუ არაპირდაპირი ფორმით (საგადასახადო შეღავათები, საწვავი, სათესლე მასალა, სასუქები, პესტიციდები და სხვ.).

პირდაპირი სუბსიდიები: ფულადი სახით მიღებულ სუბსიდიის შემთხვევაში აღირიცხება მიღებული ფულის ოდენობა; ხოლო სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერის სახით მიღებული სუბსიდიის შემთხვევაში აღირიცხება მოცემული ვაუჩერის ღირებულება, ანუ მოცემული ვაუჩერით მისაღები საქონლის/მომსახურების ღირებულება, შეფასებული ლარებში.

არაპირდაპირი სუბსიდიები: საგადასახადო შეღავათების სახით მიღებული სუბსიდიის შემთხვევაში აღირიცხება საგადასახადო შეღავათის მთლიანი ღირებულება; სხვა ნებისმიერი არაპირდაპირი სუბსიდიის შემთხვევაში არსებობს აღრიცხვის ორი გზა, რომლის არჩევაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი გზა უფრო ადვილი და კომფორტულია რესპონდენტისათვის: შესაძლებელია 1) აღირიცხოს მიღებული სუბსიდიის/სუბსიდირებული საქონლის მთლიანი ფულადი ღირებულება, ან 2) აღირიცხოს მიღებული სუბსიდირებული საქონლის მთლიანი მოცულობა და საქონლის შესაბამისი ერთეულის (კგ, ლიტრი და ა.შ.) ღირებულება.

ნაწილი 11. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა.

აღირიცხება საანგარიშო წელს მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ღირებულება და დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი.

11.1 მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება. ჩაიწერება საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული დასაზღვევო ანაზღაურება ლარებში. აღირიცხება ის ანაზღაურებაც, რომელიც მეურნეობამ საანგარიშო წელს მიიღო (მიღების პირობა გაფორმდა იურიდიულად ან მკაცრად განისაზღვრა სიტყვიერად), მაგრამ მისი ფულადი სახით აღება ჯერ არ მომხდარა გარკვეული მიზეზის გამო (მოუცლელობა, ბიუროკრატიული შეფერხება, ტექნიკური შეფერხება ან სხვ.) და აღებულ იქნება საანგარიშო წლის შემდგომ.

11.2 მემცენარეობის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ დაზღვევაზე გადახდილი თანხა. ჩაიწერება მემცენარეობის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ დაზღვევაზე წლის განმავლობაში გადახდილი თანხა (მაგ. ვენახის, ხეხილის ბაღის, ერთწლიანი კულტურების ნათესის და ა.შ. დაზღვევაზე გადახდილი თანხა).

11.3 მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ დაზღვევაზე გადახდილი თანხა. ჩაიწერება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ დაზღვევაზე წლის განმავლობაში გადახდილი თანხა (მაგ. ცხვრის ფარის, მეფრინველეობის ფერმის, სკების და ა.შ. დაზღვევაზე გადახდილი თანხა).

11.4 სხვა სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაზე გადახდილი თანხა. ჩაიწერება სხვა სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაზე წლის განმავლობაში გადახდილი თანხა (მაგ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-მოწყობილობების, შენობების, იარაღების, ინვენტარის და ა.შ. დაზღვევაზე გადახდილი თანხა).

ნაწილი 12. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწყობებთან ხელმისაწვდომობა.

აღირიცხება აქვს თუ არა მეურნეობას შესაძლებლობა, დაასაწყობოს თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რათა დაელოდოს უკეთეს მარკეტინგულ პირობებს (პროდუქციის გასაყიდი ფასის ზრდას). აღირიცხვა ხდება, როგორც მეურნეობაში წარმოებული ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ერთობლიობისთვის, ასევე ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჯგუფებისათვის (მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული, ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სხვ.). ამასთან, ცალკეულ პროდუქტთა

ჯგუფებისათვის, დასაწყობების სრულად ან ნაწილობრივ შესაძლებლობის შემთხვევაში, აღირიცხება საწყობის ტიპი, კუთვნილების (მეურნეობაში არსებული თუ მეურნეობის გარეთ არსებული) და მოწყობის (კუსტარულად მოწყობილი თუ თანამედროვე ტექნოლოგიებით მოწყობილი) მიხედვით.

ნაწილი 13. მეურნის ეკონომიკური პროფილი.

13.1 მეურნეობის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ორიენტირი. მიეთითება სოფლის მეურნეობის ის მიმართულება (მემცენარეობა, მეცხოველეობა ან შერეული წარმოება), რომელსაც მისდევდა მეურნეობა საანგარიშო წელს.

13.2 მეურნეობაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანიშნულება. მიეთითება საანგარიშო პერიოდში მეურნეობაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის პროდუქციის) ძირითადი დანიშნულება: თითქმის სრულად გაყიდვისთვის იწარმოება (იყიდება 90% და მეტი); იწარმოება ძირითადად გაყიდვისათვის, მაგრამ აგრეთვე საკუთარი მოხმარებისთვისაც (იყიდება 50%-ზე მეტი და 90%-ზე ნაკლები); იწარმოება ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის, მაგრამ აგრეთვე გაყიდვისთვისაც (იყიდება 10%-ზე მეტი და 50%-ზე ნაკლები); თუ იწარმოება თითქმის სრულად საკუთარი მოხმარებისათვის (იყიდება 10% და ნაკლები).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების კოდები (დანართი 1)

დასახელება	კოდი	დასახელება	კოდი
ერთწლიანი კულტურები	(1)	მრავალწლოვანი კულტურები	(2)
მარცვლოვანი კულტურები	(11)	ხეხილის ბაღები	(21)
საშემოდგომო ხორბალი	111	თესლოვანი ხილი	(211)
საგაზაფხულო ხორბალი	112	ვაშლი	2111
საშემოდგომო ქერი	113	მსხალი	2112
საგაზაფხულო ქერი	114	კომში	2113
ჭვავი	115	ზღმარტლი	2114
შვრია	116	კურკოვანი ხილი	(212)
სიმინდი	117	ქლიავი, ჭანჭური, ლოდნოშო	2121
ჭყინტი სიმინდი	1171	ბალი, ალუბალი	2122
წიწიბურა	118	გარგარი, ჭერამი	2123
პარკოსანი კულტურები	(12)	ატამი	2124
ლობიო	121	ტყემალი, ალუჩა	2125
ბარდა	122	შინდი	2126
ცერცვი	123	ვაშლატამა	2127
ტიქნიკური კულტურები	(13)	კაკლოვანი ხილი	(213)
შაქრის ჭარხალი	131	კაკალი	2131
მზესუმზირა	132	თხილი	2132
თამბაქო	133	ნუში	2133
სოია	134	წაბლი	2134
არაქისი	135	სუბტროპიკული ხილი, თუთადაკივი	(214)
ეთერზეთოვანი კულტურები	136	ლეღვი	2141
სამკურნალო კულტურები	137	ბროწეული	2142
კარტოფილი	(14)	ხურმა/კარალიოკი	2143
საადრეო კარტოფილი	141	ფეიხოა	2144
საგვიანო კარტოფილი	142	მუშმალა	2145
ბოსტნეული	(15)	თუთა	2146
ფოთლოვან-ღეროვანი ბოსტნეული	(151)	კივი	2147
კომბოსტო	1511	წყავი	2148
ყვავილოვანი კომბოსტო და ბროკოლი	1512	ხეხილისნერგი	219
ისპანახი	1513	კენკროვნები	(22)
სალათა	1514	მარწყვი/ხენდრო	221
მწვანილი (ქინძი, კამა, ოხრახუმი, ნიახური, მწვანე ხახვი, პრასი, წიწმატი, ტარხუნა და ა.შ.)	1515	მოცხარი	222
ნაყოფიანი ბოსტნეული	(152)	ჟოლო	223
		სხვა კენკროვნები	224
		კენკროვანი კულტურისნერგი	229
კიტრი	1521	ვენახები	(23)
პომიდორი	1522	თეთრი ყურძენი	231
მწვანე ლობიო	1523	შავი ყურძენი	232

ბადრიჯანი	1524	<i>ვაზისნერგი</i>	239
ყაბაყი	1525	<i>ციტრუსის პლანტაციები</i>	(24)
წიწაკა	1526	მანდარინი	241
<i>ბოლქვიან-ფესვიანი ბოსტნეული</i>	<i>(153)</i>	ფორთოხალი	242
ჭარხალი	1531	ლიმონი	243
სტაფილო	1532	გრეიპფრუტი	244
ხახვი ბოლქვად	1533	ციტრო	245
ნიორი	1534	<i>ციტრუსისნერგი</i>	249
ბოლოკი	1535	ჩაი	25
<i>ბოსტნეულის ჩითილი</i>	159	<i>ჩაისნერგი</i>	259
ბაღჩეული კულტურები	(16)	სხვა მრავალწლოვანი ნარგავები	(26)
ნესვი	161	დაფნა	261
საზამთრო	162	ტუნგო	262
გოგრა	163	ბამბუკი	263
სოკო	(17)	ჯონჯოლი	264
ერთწლიანი ყვავილები	(18)	მრავალწლოვანი ყვავილები	265
პირუტყვის საკვები კულტურები	(19)	<i>სხვა მრავალწლოვანი კულტურის ნერგი</i>	269
საკვები ძირხვენები	191	დროებით დაუმუშავებელი მიწა	3
სიმინდი სილოსად და მწვანე საკვებად	192	დიდი ხნით დაუმუშავებელი მიწა	4
ერთწლიანი ბალახები თივად	193	სხვა	999
მრავალწლოვანი ბალახები თივად	194		

სასუქების კოდები (დანართი 2)

პესტიციდების კოდები (დანართი 3)

დასახელება	კოდი
აზოტის სასუქები	1
ფოსფორის სასუქები	2
კალიუმის სასუქები	3
რთულ-კომპლექსური სასუქები	4
მელიორანტები და აგრომადნეულები	5
ტორფი და მისგან დამზადებული სასუქები	6
სხვა	999

დასახელება	კოდი
ფუნგიციდები	1
ინსექტიციდები	2
ჰერბიციდები	3
როდენტიციდები	4
ფუმიგანტები	5
თესლის შესაწამლი ფუნგიციდები	6
სხვა	999

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობების კოდები (დანართი 4)

დასახელება	კოდი	დასახელება	კოდი
ძაღოვანი დანადგარის მქონე ტექნიკა	(1)	მისაბმელი მოწყობილობები	(2)
ტრაქტორები და ბულდოზერები	(11)	მიწის დასამუშავებელი მოწყობილობები	(21)
ხელის (ერთდერძიანი) ტრაქტორი (მოტობლოკი)	111	სატრაქტორო გუთანა	211
მინი-ტრაქტორი	112	დისკებიანი ფარცხი	212
ტრაქტორები	113	კულტივატორი ან როტაციული ფრეზი	213
ტრაქტორი 18-დან 44 ცმ-მდე სიმძლავრით	1131	არხის გამჭრელი	214
ტრაქტორი 45-დან 99 ცმ-მდე სიმძლავრით	1132	სათეს/სარგავი მოწყობილობები	(22)
ტრაქტორი 100-დან 159 ცმ-მდე სიმძლავრით	1133	ხირბლის სათესი	221
ტრაქტორი 160 ცმ და მეტი სიმძლავრით	1134	სიმინდის სათესი	222
ბულდოზერი	114	კარტოფილის სათესი	223
კომბაინები	(12)	სარგავი მოწყობილობა	224
ხორბლის ამღები კომბაინი	121	კულტურების მოსავლელი მოწყობილობები	(23)
სიმინდის ამღები კომბაინი	122	მინერალური სასუქის გამფანტველი	231
ავტომანქანები	(13)	ნაკელის გამფანტველი	232
მსუბუქი ავტომანქანა	131	პესტიციდების შემასხურებელი	233
სატვირთო ავტომანქანა	132	წყლის გამასხურებელი	234
ავტობუსი	133	მოსავლის ასაღები მოწყობილობები	(24)
ჩაის მანქანები	(14)	სათიბელა	241
ჩაის საკრეფი მანქანა	141	წნეხ-ამკრეფი	242
ჩაის სასხლავი მანქანა	142	კარტოფილის ამომღები	243
მეცხოველეობაში გამოყენებული ტექნიკა	(15)	გადასაზიდი მოწყობილობები	(25)
საწველი აპარატი	151	ლაფეტი	251
რძის გამაგრილებელი	152	მისაბმელი (ფურგონი)	252
სეპარატორი	153	სხვა	999
ინკუბატორი	154		
სარწყავი ტექნიკა	(16)		
წყლის ტუმბო	161		
წყლის გამასხურებელი	162		
სხვა ტექნიკა	(17)		
ელექტროგენერატორი	171		
შიგაწვის ძრავა	172		
ელექტრომტორი	173		
კომპიუტერი	174		

სასოფლო მეურნეობების იურიდიული სტატუსების კოდები (დანართი 5)

ოჯახური მეურნეობები	
100	ერთი შინამეურნეობა
200	რამდენიმე შინამეურნეობა
საწარმოები	
1	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
2	სააქციო საზოგადოება (სს)
3	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)
4	კომანდიტური საზოგადოება (კს)
5	კოოპერატივი
30	ინდივიდუალური მეწარმე (იმ)
38	უცხოური აიკ–ის ფილიალი
39	უცხოური საწარმოს ფილიალი
40	სახელმწიფო დაწესებულება
98	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ)
99	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
111	ამხანაგობა
23	სხვა საწარმო